ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის
ოქმი N7

20.10.2022
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მერაბ ჭოხონელიძე, მარეხი ნიჟარაძე, მანანა ჩიხლაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ხათუნა არველაძე, ქეთევან ხურციძე.

სულ 7 წევრი.

არ ესწრებოდა: თეა ჯუღელი, კახაბერ გაბუნია, თედო მესხიანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე , ბ-ნ ირაკლი შენგელია; საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების, 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.
2. ბ. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს;

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული I საკითხი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების, 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.
2. ბ. მიმდინარე საკითხები.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ:

,,მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ. თქვენის ნებართვით წარმოგიდგენთ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების, 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. მომხსენებლები-კულტურის განყოფილების უფროსი ელეონორა გოგოლაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი ლანა სვანიძე, განათლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სალომე ფუტკარაძე. ჩვენი დღის წესრიგის შედგენის საფუძველი არის ის გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა ვიმუშაოთ მიმდინარე წლის განმავლობაში. ვთხოვთ განყოფილებებს წარმოადგინონ ანგარიში".

,, მოგესალმებით, მე გახლავართ ელეონორა გოგოლაშვილი, კულტურის განყოფილების უფროსი. მოგახსენებთ, რომ კულტურის ბიუჯეტი გახლავთ 1 380 300 ლარი. აქედან თანხები იხარჯება შემდეგი მიმართულებით: საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა სახის აქტივობებისთვის და მოწვეული მუსიკოს-შემსრულებლებისთვის- 77765ლ, ქალაქობის დღესასწაული ,,ორმაისობა"-3230ლ, ქუთაისში გამომავალი ბეჭდური გამომცემლობა-72000ლ ,ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერა-42000ლ, ქუთაისის თეატრების ფუნქციონირებისთვის-145563ლ, კულტურის სტრატეგიის მხარდაჭერა-4990ლ, საქართველოს დამსახურებული არტისტების და ქურუმების სტიპენდია-48600ლ, საკონცერტო ღონისძიებები და 1 საერთაშორისო ფესტივალი-38995 , გაუთვალისწინებელი ღონისძიებები-117883 ლ, იმერეთის საერთაშორისო ფესტივალი- 14000ლ, განყოფილების მიერ მხარდაჭერილი და ორგანიზებული ათამდე ღონისძიების ფარგლებში, მოწვეული სტუმრების კვებითი მომსახურება-7848,50ლ, ფოტოკონკურსი ,,ილო"-20000ლ".

,,მოგესალმებით, მე გახლავართ ლანა სვანიძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი. მოგახსენებთ, რომ სპორტის ბიუჯეტი გახლავთ 1626000 ლარი. მათ შორისაა, ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასის ტურნირი-5922ლ, წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება- 12470ლ, კოლია ქვარიანის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში-6000ლ, აკაკი კაკაურიძის სახელობის ტურნირი კრივში-14016ლ, საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის-2700ლ, ტანვარჯიშის საერთაშორისო ტურნირი- 24950ლ, ღია პირველობა კალათბურთში-5000ლ, მემორანდუმენი სარაგბო კლუბ ,,აია"-620000ლ, ,,არესი"-165000ლ, ,,ბაგრატი"-100000ლ, ქალთა რაგბის ხელშეწყობა-5000ლ, წლის მანძილზე ფულადი ჯილდო მიღწევებიდან გამომდინარე, სპორტის რაინდის სტიპენდია ყოველთვიურად-500ლ, წლის წარმატებული სპორტსმენების სტიპენდია, მემორანდუმი ა(ა)იპ ოლიმპიურ კომიტეტთან-19070ლ, გელა დარსაძის სახელობის ტურნირი კალათბურთში-12000ლ, ავტორალი-5000ლ,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-18063ლ, ჩოგბურთის ტურნირი-3320, საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-10000ლ, გაუთვალისწინებელი ღონისძიებები-35850ლ.

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტია 345600 ლარი. კერძოდ, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე-28504 ლ, ლიდერთა სკოლა-48900ლ, როკ მუსიკის ფესტივალი-30000ლ, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა-92975, საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა-1855ლ, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა-20000ლ, გაუთვალისწინებელი ღონისძიებები-15745ლ".

,,მე გახლავართ სალომე ფუტკარაძე, განათლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.განათლების განყოფილების პროგრამული ბიუჯეტი გახლავთ 182000ლ, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა, ინტელექტუალური კონკურსი მოსწავლეთათვის (ჯეპარდი), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მედია-პროექტი ,,ეტალონი", ქართული ენის დღის ფარგლებში კალიგრაფიის კონკურსი, მუზეუმის საერთაშორისო დღე, საზაფხულო ბანაკი საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების სოციალურად დაუცველი და წარმატებული მოსწავლეებისთვის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ მოზარდ-მაყურებელთა დამოუკიდებელ ახალგაზრდულ თეატრ ,,მარჯანიშვილელებთან", მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით საჯარო სკოლების წლის საუკეთესო მასწავლებლებისა და ამაგდარი პედაგოგების დაჯილდოება.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დებატები არ ყოფილა.კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების, 2022წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე ანგარიში.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და
სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე

კულტურის განყოფილება - 9 თვის ანგარიში

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში გაიხარჯა თანხა სხვადასხვა სახის აქტივობებისათვის და მოწვეული მუსიკოს-შემსრულებლებისათვის - **77765 ლარი**

ქალაქობის დღესასწაული ,,ორმაისობა'' ქვეპუნქტიდან გაიხარჯა - **3230 ლარი**

ქუთაისში გამომავალი ბეჭდური გამოცემების ფარგლებში დაფინანსდა - გაზეთ უქიმერიონის 8 ნომერი, ჟურნალ მწვანეყვავილას 3 ნომერი, ჟურნალ განთიადის 10 ნომერი - **72000 ლარი**

ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 7 გამოფენა, 1 პლენერი - **42000 ლარი**

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ქუთაისელი მწერლებისა და პოეტების ნაშრომების გამოცემის ფარგლებში დაიბეჭდა ცირა შალაშვილის ერთტომეული - **3200 ლარი**

ქუთაისელი მწერლების, მხატვრების და თეატრალური მოღვაწეების საიუბილეო პროგრამის ფარგლებში გაიცა ჯილდო 16 თეატრალურ მოღვაწეზე, 6 მხატვარსა და 2 მწერალზე - **16125 ლარი**

ქუთაისის თეატრების ფუნქციონირებისათვის მხარდაჭერის პროგრამის საფუძველზე მემორანდუმის ფარგლებში თანხა გამოეყო ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მ.ბალანჩივაძის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ საელმწიფო თეატრს, ქუთაისის ნიღბების თეატრს, პანტომიმის თეატრს და ი.გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს - **145563 ლარი**

კულტურის სტრატეგიის მხარდაჭერის ქვეპუნქტიდან მარკეტინგული მომსახურების ფარგლებში გაიხარჯა - **4990 ლარი.**

,,სტრიტარტის'' ქვეპუნქტის ფარგლებში გაიცა ჯილდო 2 გამარჯვებული ესკიზის ავტორზე - **3830 ლარი**

ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ბერმუხა'' და ქუთაისის სახელმწიფო სიმ ფონიური ორკესტრი დაფინანსდა 9 თვის მანძილზე ყოველთვიური ხელფასით - **26208 ლარი**

საქართველოს დამსახურებული არტისტების და ქურუმების სტიპენდია გაიცა 9 თვის მანძილზე ჯამში 10 პერსონაზე - **48 600 ლარი**

ფინანსური მხარდაჭერა გაეწია ეტაპობრივად ქუთაის-გაენათის ეპარქიას - **88000 ლარი**

საკონცერტო ღონისძიებები და ფესტივალების ფარგლებში განხორციელდა 5 საკონცერტი ღონისძიება და 1 საერთაშორისო ფესტივალი - **38995 ლარი**

გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ქვეპუნქტიდან გაიცა ფინანსური დახმარება 9 პირზე, განხორციელდა 1 ხელოვნების საერთაშორისო არტ-ფორუმი, 1 ჯიშიანი ძაღლების საერთაშორისო გამოფენა, 1 სპექტაკლი, 1 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, დამზადდა სმკერდე ნიშნები ქუთაისის საპატიო მოქალაქეებისთვის, 2 საკონცერტო ღონისძიება ცენტრალურ ბულვარსა და სულხან-საბას ადმინისტრაციული ერთეულის ახლადრეაბილიტირებულ სკვერში - **117883 ლარი**

გახმოვანების აპარატურით მომსახურებით მხარდაჭერა გაეწია 25 მდე ღონისძიებას - **28100 ლარი**

დაფინანსდა იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში - **14000 ლარი**

საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად დაფინანსდა 1 ქუთაისელი მუსიკოს-შემსრულებელის ტრანსპორტირების ხარჯი - **1820 ლარი**

განყოფილების მიერ მხარდაჭერილი და ორგანიზებული ათამდე ღონისძიებების ფარგლებში მოწვეულ სტუმრებს გაეწიათ კვებითი მომსახურება - **7848,50 ლარი**

ჩატარდა ფოტოკონკურსი ,,ილო'' - **20000 ლარი**

სპორტის ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის ანგარიში 9 თვის

1. ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასის ტურნირი- მ/წ 24-25 იანვარს, ქუთაისმა უმასპინძლა აღნიშნული ტურნირის ფინალურ მატჩს, რომლის ორგანიზების ფარგლებშიც, ტურნირის მონაწილეებისათვის (36 სპორტსმენი და 4 ფედერაციის წარმომადგენელი) სულ 40 პირზე გაიწია /წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლი/ სასტუმრო და კვებითი მომსახურება. (**5922 ლარი**; გია ბაბუჯანია)

2. წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება-- გაიმართა 2021 წლის 27 დეკემბერს, „ბაგრატი1003-ის" დარბაზში, ანგარიშსწორება მოხდა 2022 წლის ბიუჯეტიდან კერძოდ „წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება"(წარმომადგენლობითი ხარჯი). (12 470 ლარი.)

3. კოლია ქვარიანის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში"- შეჯიბრება ჩატარდება ქ.ქუთაისში 2022 წლის 29 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე. შეჯიბრება ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში არსებული წესების თანახმად სხვადასხვა წონით კატეგორიებში და მასში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეულმა სპორტსმენებმა. 6000 ლარი (ინდ.მეწარმე ნიკოლოზ ნემსაძე) გაიმართა 29 მაისს.

4. მსოფლიო ჩემპიონის აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში- ღონისძიების ორგანიზების ფარგლებში გამოცხადდა ელ.ტენდერი, ტურნირი გაიმართა სპორტის სასახლეში მ/წ 20-24 ივლისს, ტურნირი იყო საერთაშორისო ხასიათის და მასში მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთიდან მოწვეულმა გუნდებმა. (14 016 ლარი)

5. .საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის (ფასიანი საჩუქრების შეძენა) (მკლავჭიდი, წოლმჭიმი, ნარდი და შაში)- აღნიშნული ქვეპუნქტიდან დაფინანსდა ღონისძიება - ,,გოჩა ქვარიანის სახელობის ტურნირი ნარდსა და შაშში", რომელიც გაიმართა მ/წ 5 მარტს ჭადრაკის სასახლეში სასახლეში. მასში მონაწილეობა მიიღო ქუთაისში მცხოვრებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა. **2700 ლარი** -(ინდ მეწარმე მერაბ ქვარიანი) 5 მარტს გაიმართა.

6. ტანვარჯიშის საერაშორისო ტურნირი- აღნიშნული ღონისძიებისათვის გამოცხადდა ელ.ტენდერი, ტურნირი მიმდინარეობდა მ/წლის 2 დან 7 მაისის ჩათვლით, ტანვარჯიშის სპორტულ სკოლაში, იყო საერთაშორისო და მასში მონაწილეობდა საზღვარგარეთიდან მოწვეული ტანმოვარჯიშეები. **24 950 ლარი (ინდ მეწარმე ლია მჭედლიძე) 5-10 მაისი**

7. ღია პირველობა კალათბურთში- გამოცხადდა ელ. ტენდერი, ტურნირი გაიმართა მ/წლის 29 სექტემბერი 2 ოქტომბერს, მიმდინარეობდა სპორტის სასახლეში, მასში მონაწილეობდა თურქეთიდან მოწვეული გუნდი. **(29.09 – 2.10) 5 000 ლარი**

8. რაგბის ხელშეწყობის ფარგლებში /მემორანდუმი/ დაფინანსდა ქ.ქუთაისის ააიპ სარაგბო კლუბი „აია“ --- 620 000 ლარით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის.

9. რაგბის ხელშეწყობის ფარგლებში /მემორანდუმი/ დაფინანსდა ქ.ქუთაისის ააიპ სარაგბო კლუბი “არესი“ 165 000 ლარით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის.

10. რაგბის ხელშეწყობის ფარგლებში /მემორანდუმი/ დაფინანსდა ქ.ქუთაისის ააიპ სარაგბო კლუბი „ბაგრატი“ 100 000 ლარით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის

11. ქალთა რაგბის ხელშეწყობა-მემორანდუმის ფარგლებში სხვადასხვა სახის ღონისძიებებისთვის დაფინანსდა 5 000 ლარით.

12. ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია ოლიმპიურ ჩემპიონს ირაკლი ცირეკიძეს წლის განმავლობაში ყოველთვიურად ერიცხება-- 1500 ლარი.

13. საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი ჯილდოს გაცემა- აღნიშნული ქვეპუნქტიდან, წლის განმავლობაში, შესაბამისი სპორტის ფედერაციებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე, მიღწევებიდან გამომდინარე, დღემდე ჯილდოს სახით დაფინანსდა 31 სპორტსმენი.

14. . სპორტსმენების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა- აღნიშნული ქვეპუნქტიდან, ააიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისა და ფედერაციების მომართვის საფუძველზე დაჯილდოვდნენ სპორტსმენები რომლთაც მ/წელს შეუსრულდათ საიუბილეო თარიღი, ამჟამად 9 სპორტსმენი.

15. ააიპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულ საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის მოღვაწის/მუშაკის წოდების მქონე პირთა ყოველთვიური ფულადი ჯილდო - აღნიშნული ქვეპუნქტიდან ყოველთვიურად გაიცემა ფულადი ჯილდო იანვარში, მარტსა და აპრილში გაიცემოდა 81 პირზე; დანარჩენ თვეებში 80 პირზე - ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

16. სპორტის რაინდის სტიპენდია -- აღნიშნული სტიპენდია სტატუსიდან გამომდინარე გაიცემა მხოლოდ ერთ პირზე- თეიმურაზ აფხაზვას ერიცხება ყოველთვიურად 500 ლარი.

17. წლის წარმატებულ ქუთაისელ სპორტსმენებს 35 პირს სტიპენდიის სახით ყოველთვიურად ერიცხებათ ჯამში 9 937.5 ლარი

18. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების დაფინანსება- აღნიშნული ქვეპუნქტიდან დაფინანსდნენ სპორტსმენები

სპორტის ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის ანგარიში 9 თვის
რომლებიც მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ სხვადასხვა სახის ჩემპიონატებზე, შესაბამისი მომართვების საფუძველზე, ამ ეტაპზე დაფინანსდა 16 სპორტსმენი.

19. „ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტურნირებზე გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება"-აღნიშნული ქვეპუნქტიდან დაფინანსდნენ სპორტსმენები რომლებიც მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ სხვადასხვა სახის ჩემპიონატებზე, შესაბამისი მომართვების საფუძველზე, ამ ეტაპზე დაფინანსდა ხუთი სპორტსმენი და ერთი გუნდი.

20. ააიპ ქ.ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტი /მემორანდუმით/ დაფინანსთა 19 070 ლარით, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის.

21. შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერა /მემორანდუმი/ „ახალგაზრდა მედეა კავშირი" ხატია გავაშელი დაფინანსთა 15 000 ლარით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 16 ბენეფიციარმა მიიღო თითოეულ ღონისძიებაში მონაწილეობა. ჩატარდა 8 სხვადასხვა სახის ღონისძიება.

22. გელა დარსაძის სახელობის ტურნირი კალათბურთში - აღნიშნული ღონისძიებისათვის გამოცხადდა ელ.ტენდერი 12 000 ლარზე, ტურნირი მიმდინარეობდა მ/წლის 3-5 ივნისის ჩათვლით სპორტის სასახლეში 2008-2009 წლებში დაბადებულ ვაჟ კალათბურთელთა შორის, ტურნირში მონაწილეობდნენ ქუთაისის 1, ქუთაისის 2, ბათუმის, თელავის, თბილისის აკადემია, თბილისის ვინგსი, ტალინის, ტრაბზონის გუნდები.

23. "ავტორალი/დრაგი პროფესიონალ და მოყვარულ მრბოლელთა მონაწილეობით"- აღნიშნული ღონისძიებისათვის გამოცხადდა ელ.ტენდერი 5 000 ლარზე, ღონისძიება ჩატარდა მ/წ 12 ივნისს ი.ჭავჭავაძის გამზირზე სახიდე გადასასვლელის ქვეშ არსებული საავტომობილო გზაზე, მდინარე რიონის სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა მრბოლელმა, ასევე შეჯიბრის მსვლელობისას გაიმართა „დრიფტშოუ" და „მოტოშოუ" პროფესიონალების შესრულებით.

24. წლის ბოლომდე მიმდინარეობს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. (18 063 ლარი)

25. ჩოგბურთის ტურნირი „ ქუთაისის თასი" გამოცხადდა ელ.ტენდერი 3320 ლარზე, ტურნირი ჩატარდა მ/წ 29-31 ივლისს ქ. ქუთაისი ხორავას ქუჩა N2 (ტორპედოს კორტებზე). შეჯიბრება გაიმართა ერთეულთა და წყვილთა შორის, ქალ და მამაკაც ჩოგბურთელებს შორის. შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით (2680 ლარი), თასებით, მედლებით.

26. ზ.შეყრილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მ.დოხტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში (10 000 ლარი) (7-8. 10)

27. გაუთვალისწინებელი ღონისძიებები:

სპორტის ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის ანგარიში 9 თვის

1. ანასტასია კირთაძე-500 ლარი/ფინანსური/

2.გოჩა ბანძელაძე (ფრანბურთი) 3000 ლარი;

3.გოჩა ბანძელაძე (ფრანბურთი) 3000 ლარი;

4.ბექა მერკვილაძე (მასტერ ლიგა) 2500 ლარი;

5.ბექა მერკვილაძე (მასტერ ლიგა) 600 ლარი;

6. ბექა მერკვილაძე (მასტერ ლიგა) 600 ლარი;

7. ბექა მერკვილაძე (მასტერ ლიგა) 800 ლარი;

8.თორნიკე ფხაკაძე (მოყვარულთა თასი) 1500 ლარი

9.ნემსაძე 625 ლარი; კირთაძე 500 ლარი სულ: 1125 ლარი

10.ნანა ძაგნიძე 600 მერი არაბიძე 600 ალექსანდრე არსენიძე 400; სულ: 1600 ლარი

11. გაბრიელ გაბადაძე--625 ლარი

12. ა(ა)იპ „სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი ქუთაისის“ - 20 000

სულ: 35 850 ლარი

28. დაგეგმილი ტურნირები:

- საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გ. ჩიქოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში - 10 000 ლარი (17-20.11)
- მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში - 10 000 ლარი (12-13.11)
- საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი სარდანაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში - 5 000 ლარი (25-26.11)
- ევროპის ორგზის ჩემპიონის, აკაკი კიბორძალიძის და ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში - 15 000 ლარი (10-11. 12)
- საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის (ფასიანი საჩუქრების შეძენა) (მკლავჭიდი, წოლმჭიმი, ნარდი და შაში) (4 300 ლარი 3.12)

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის ანგარიში 9 თვის

1. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

მ/წ 12 აგვისტოს ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მათ შორის მასშტაბური ახალგალგაზრდული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა 120 ახალგაზრდა, (10 504 ლარი) ანჯაფარიძის სკვერის მიმდებარედ ჩატარდა კონცერტი პოპულარული ქართველი მომღერლების მონაწილეობით (18 000 ლარი)

2. ლიდერთა სკოლა

მ/წ 15-31 აგვისტოს მოეწყო ლიდერთა სკოლა, რომელშიც 150 ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას, ბანაკი მოეწყო დაბა ურეკში, სადაც ახალგაზრდებმა ინფორმაცია მიიღეს ციფრული კომპეტენციების შესახებ. (**შპს თოლია – 48 900 ლარი**)

3. როკ მუსიკის ფესტივალი

მ/წ 17-18 ივლისს ჩატარდა როკ მუსიკის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა რვა პოპულარული ადგილობრივი და მოწვეული ბენდები. (30 000 ლარი)

4. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

წლის მანძილზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ფინანსედება ახალგაზრდული ინიციატივები. ჯამში მიმდინარე წელს დაფინანსდან 10 ახალგაზრდული ინიციატივა. კერძოდ:

"ახალგაზრდა მეწარმე- როგორც ქვეყნის მომავალი"; (10 000 ლარი)

Airsoft Space; (7 325 ლარი)

„მეოცნებე ნიამორები"; (10 000 ლარი)

„ახალგაზრდა ელჩები ქუთაისის განვითარებისთვის"; (10 000 ლარი)

„ქუთაისის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო"; (10 000 ლარი)

langua.edu.ge; (10 000 ლარი)

ინფო ქუთ*აისი; (7 650 ლარი)

ბოჩა - სპორტულ-საგანმანათლებლო კლუბი; (10 000 ლარი)

„ოფროად სპრინტი"; (10 000 ლარი)

„მწვანეყვავილას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის ბინადართა სავანე". (8 000 ლარი)

5. საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა

მუხლიდან ,,საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა" ფინანსური დახმარება გამოეყო ორ ახალგაზრდას.

1. ერასმუსის თაობის შეხვედრა (EGM)" გასამგზავრებლად თამთა ჩხენკელი (ფინანსური დახმარება) – 1 030 ლ
2. ევროკავშირის გაცვლით პროგრამაში "BIO: Balanced - In& Out" მონაწილეობის მისაღებად ირაკლი თევზაძისათვის გასამგზავრებელი თანხის გამოყოფა - 8 55 ლ

6. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა

ახალგაზრდულ ბიუჯეტში გათვალისწინებული მუხლი ,,მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა", რომელიც ამ ეტაპზე მიმდინარეობს და საბოლოო ანგარიში წარმოდგენილი იქნება დეკემბრის თვეში. (20 000 ლარი)

7. გაუთვალისწინებელი ღონისძიებები:

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ფინანსური დახმარება გაეწია 15 ახალგაზრდას.

1. "ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს ეროვნულ საერთო კრებაზე" ახალგაზრდების გასამგზავრებლად ფინანსური დახმარების შესახებ - 150 ლარი
2. „ქართული კულტურის დღეები-ერევანი 2022" ახალგაზრდების გასამგზავრება (ახალგაზრდული პარლამენტი; 5 ახალგაზრდა) – 3250 ლარი
3. იუმორისტული გუნდისათვის „იშვიათი იმერლები" ფინანსური დახმარება (თეოდოტ ლეჟავა) – 1 700 ლარი
4. იუმორისტული გუნდისათვის „იშვიათი იმერლები" ფინანსური დახმარება 2 (თეოდოტ ლეჟავა) – 1 700 ლარი
5. გვანცა მაჩიტიძისათვის ფინანსური დახმარება (ჰელფი ჰენდი) – 160 ლარი
6. ი/მ ნინო ჩხეტია (ფურშეტი) – 3645
7. იუმორისტული გუნდისათვის „იშვიათი იმერლები" ფინანსური დახმარება (თეოდოტ ლეჟავა) – 1 300 ლარი
8. ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის „გენი" ფესტივალზე გასამგზავრებლად - 4 000 ლარი

განათლების ღონისძიებების პროგრამის ბიუჯეტი 2022 წელს განისაზღვრა 182 000 (ას ოთხმოცდაორი ათასი) ლარით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა ფარგლებში 2022 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით მოეწყო მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა 2022 ოლიმპიადა ჩატარდა შემდეგ ჟანრში" ქართული ხალხური მუსიკა, ესტრადა, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, დასკვნითი ტური გაიმართა ოპერის თეატრში, ხოლო დაჯილდოება და გალა კონცერტი მოეწყო ცენტრალურ ბულვარში, გამარჯვებულებს გადაეცათ შემოქმედებითი ოლიმპიადის სპეციალური პრიზი და ფულადი ჯილდო.

ინტელექტუალური კონკურსი მოსწავლეთათვის -(ჯეპარდი) 2022 წლის მაისში ქუთაისის 27 სკოლაში გაიმართა ინტელექტუალური შეჯიბრი მოსწავლეთათვის თითოეული სკოლიდან ჯეპარდის თამაშში ჩართული იყო თითო მოსწავლე, სადაც გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული კონკურსანტები.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო ღონისძიების ფარგლებში მიმდინარე წლის 1 ივნისს ქუთაისის სპორტის სასახლეში, მოეწყო სპორტული შეჯიბრი ქუთაისის 12 ბაღის 120 აღსაზრდელის მონაწილეობით, ასევე ქუთაისის ეკატერინე გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 2 დღის მანძილზე ბავშვებს უფასო ატრაქციონებით მოემსახურნენ .

მედია-პროექტი „ეტალონი"-ს ფარგლებში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, 2022 წლის პროექტის გამარჯვებული გახდა ლიკა ბურჯანაძე, რომელსაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა ფულადი ჯილდო .

მერის სტიპენდიანტები აღნიშნული ქვეპუნქტის ფარგლებში 2022 წელს სტიპენდია გაიცა ქუთაისის სამი უნივერსიტეტის 12 სტუდენტზე.

ქართული ენის დღის ფარგლებში მოეწყო კალიგრაფიის კონკურსი, კონკურსის ფარგლებში ფულადი თანხით დაჯილდოვდა სამი პედაგოგი და სამი მოსწავლე, ასევე დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში მოეწყო გამოფენა სახელწოდებით „დედა ენა".

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქუთაისის მუზეუმების ღვაწლმოსილი და წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოება- ფარგლებში 2022 წლის 18 მაისს მოეყო 20 მუზეუმის ღვაწლმოსილი და წარმატებული თანამშრომლის დაჯილდოება.

საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, კონგრესებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაფინანსება - ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია სამ პირს.

საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთათვის, ორ ნაკადად, შავიზღვისპირეთის კურორტზე, ბანაკის განხორციელება დაიწყო 5 სექტემბერს და დასრულდა 15 სექტემბერს თითოეულ ნაკადში მონაწლეობდა 45 მოსწავლე და 5 პედაგოგი.

საზაფხულო შემეცნებითი ბანაკი „მცირე აკადემია“ საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეებისათვის შავი ზღვისპირეთის კურორტზე, ბანაკში 2 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე გაემგზავრა 56 მოსწავლე და 7 პედაგოგი.
ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი კონცერტი-მ/წ 16 სექტემბერს ქალაქის ცენტრალურ ბულვარში გაიმართა ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი კონცერტი გჯუფის „GOOFY LAND“ და მუსიკალური დიჯეის DJ ZUKAY“ მონაწილეობით.

გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ფარგლებში ფინანსური დახმარება 2022 წელს მიიღო თერთმეტმა პირმა აქედან 3 სასწავლებლად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი პირი ბრიუსელის სამართლის კოლაში ერთი უნგრეთში დებრეცენის უნივერსიტეტში, ორ პედაგოგს რომლებმაც გაიმარჯვეს eTwining-ის პროგრამაში გადაეცათ ფულადი ჯილდო, კინგზის ოლიმპიადაში გამარჯვებულ ორ მოსწავლეს გადაეცა ფულადი ჯილდო, ასევე დაფინანსდა ქალაქ თბილისში სამეწარმეო ფესტივალზე ქუთაისის 33-ე სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების გამგზავრება და ქუთაისის ინტელექტუალური კლუბის გამგზავრება ქალაქ ბათუმში.

გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი (ა) ი პ მოზარდ-მაყურებელთა დამოუკიდებელ ახალგაზრდულ თეატრ „მარჯანიშვილელებთან“-რაც გულისხმობს საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალის ჩატარებას (სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების დაჯილდოება ნომინაციების მიხედვით).

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით საჯარო სკოლების წლის საუკეთესო მასწავლებლებისა და ამაგდარი პედაგოგების დაჯილდოება- 2022 წლის 5 ოქტომბერს დაჯილდოვდა ქალაქ ქუთაისის 38 საჯარო სკოლის 75 პედაგოგი, ხოლო 6 ღვაწლმოსილ პედაგოგს გადაეცა სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“.